ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

2009 წლის გაზაფხულის სემესტრი

ინდივიდუალური სადოქტორი პროგრამა

ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა

ზოგადი მენეჯმენტი

1. **სადოქტორო პროგრამის დასახელება** „ზოგადი მენეჯმენტი"
General Management

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (PhD in Business Administration))

3. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ეკონომიკის დოქტორი გ. ღაღანიძე

4. **პროგრამის ანალოგები.**

სადოქტორო პროგრამა „ზოგადი მენეჯმენტი" წარმოდგენილია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ისეთებში, როგორიცაა:

- ვაშინგტონის უნივერსიტეტი
  http// www.gwu.edu / - International business / doctoral / fieldsindex.htm
- სვისის უნივერსიტეტი
  http// www.sbs.edu / programs / dba.asp.
- ჰიუსტონის უნივერსიტეტი
  http// www.bauer.uh.edu / International business / Ph.D / courses.htm

5. **ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.**

5.1.

<u>პროგრამის აქტუალურობა და მიზანი</u>

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებო რეფორმის ფონზე განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სპეციალისტების მომზადება „ზოგადი მენეჯმენტის" დარგში. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს უნივერსიტეტები თავიანთ მსმენელებს 260-მდე სადოქტორო პროგრამებს სთავაზობენ ზოგად მენეჯმენტში, კონცენტრაციით „ზოგადი მენეჯმენტი", მათი რაოდენობა სისტემატიურედ იზრდება, რაც მეტყველებს იმ კონკურენციულ გარემოზე, რომელიც ჩამოყალიბდა მსოფლიოში ბიზნეს-განათლების დარგში, სწავლების მესამე საფეხურს - დოქტურანტურის დონეზე. ამ ხასიათის საგანმანათლებლო რესურსზე მოთხოვნილება სისტემატიურად იზრდება. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ცნობილი საუნივერსიტეტო სკოლები დღეს განათლების სრულიად ახალ კონკურენციულ ბაზარზე გამოდიან. მსოფლიოში მიმდინარეობს საგანმანათლებლო კონსორციუმების ფორმირება, რასაც საფუძვლად უდევს ამ დარგში კორპორაციული პროგრამების ფორმირება. ამ კონტექსტში ქართული საგანმანათლებლო სივრცე უმწვავეს დეფიციტს განიცდის „ზოგადი მენეჯმენტის" დარგში ახალი, თანამედროვე, დროისა და გარემოების შესატყვისი სადოქტორო პროგრამების ფორმირების თვალსაზრისით. მსოფლიოში მიმდინარე საგანმანათლებლო ინტეგრაციული პროცესები ახალ მოთხოვნებს უყენებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ზოგადი მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების გადასინჯვისა და მათი მსოფლიოს მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის დარგვაში. ამით არის ნაკარნახევი ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის „ზოგადი მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა. ბიზნესის დარგში უმაღლესი რანგის სპესიალისტების მომზადება დღეს შეუძლებელია, უმაღლესი კვალიფიკაციის „ზოგადი მენეჯმენტის" დოქტორანტურის გარეშე.

„ზოგადი მენეჯმენტი" დისციპლინათაშორისო სფეროა, რომელიც ბაზისებს ისეთ მეცნიერულ დისციპლინებზე, როგორიც არის: „მენეჯმენტი", „მარკეტინგი", „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა", „ფინანსები", „საბუღალტრო აღრიცხვა" და სხვა. ამ დარგში არსებული უახლესი მიღწევების გამოყენება ქმნის სწავლების ისეთ ერთიან სისტემას, როგორიც არის „ზოგადი მენეჯმენტი". თანამედროვე „ზოგადი მენეჯმენტი" არის პრაგმატული, ის მკაცრად მოტივირებულია, რადგანაც მას საფუძვლად უდევს ზოგადი მენეჯმენტის დარგში დროის მოთხოვნათა შესატყვისი სპეციალისტის მომზადება. ამდენად,

დოქტორანტები იკვლევენ „ზოგადი მენეჯმენტის” დარგში უახლეს პრობლემატიკას, დაკავშირებულს საერთაშორისო ბიზნესში, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აღრიცხვის, ფინანსების და სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან.

პროგრამის მიზანია „ზოგადი მენეჯმენტის” თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, ამ დარგში აშშ-ის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, მათი საფუძვლიანი ანალიზი და გამოყენება საქართველოს არსებულ რეალობაში. პროგრამის ათვისების პროცესში დიდ დატვირთვას იძენს ნოვატორული იდეების გენერაცია, კრეატიულობა, ახალი მიდგომების, იდეების შეფასება და მათი ანალიტიკური კვლების უნარი. ეს მიზნობრივი ორიენტირები თავიანთ ასახვას ჰპოვებენ დოქტორანტების მიერ განხორციელებულ მეცნიერულ კვლევებში, სემინარებში, პრეზენტაციებში. „ზოგადი მენეჯმენტის” მიმართულებით ფაკულტეტზე არსებობს სავარაუდო საკვლევი თემატიკა, რომლის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ თემის შერჩევა (იხ.დანართი №1)

5.2. პროგრამის შედეგი.

ა) დარგობრივი კვალიფიკაცია.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება „ზოგადი მენეჯმენტის” დარგში ფილოსოფიის დოქტორის კვალიფიკაცია. კონცენტრაციით „ზოგადი მენეჯმენტი”. „ზოგადი მენეჯმენტის” დარგში სპეციალისტს უნდა შეეძლოს რეალურად შეაფასოს მენეჯმენტის ცალკეული სფეროების მდგომარეობა კვლევის უახლესი მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით, უზრუნველყოს ამ რგოლების სტრუქტურული და ფუნქციური სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება; სარესურსო ბაზის, ფირმებისა და ბაზრის ფუნქციონირების ერთიანობის პრობლემების გადაწყვეტა; სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელება ზოგადი მენეჯმენტის ცალკეულ სფეროებში.

ბ) ცოდნა.

საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად დოქტორანტს მოეთხოვება ფართო სამეცნიერო, პედაგოგიური, ფუნდამენტური, პრაქტიკული ცოდნა.

„ზოგადი მენეჯმენტის” დარგში დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

– „ზოგადი მენეჯმენტისადმი ”თანამედროვე თეორიული მიდგომები და უახლესი კონცეფციები;

– სწავლების თანამედროვე მეთოდები;

– კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;

–„ზოგადი მენეჯმენტის” სისტემაში შემავალი საბაზო დისციპლინები: საერთაშორისო მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ბუღალტერია, ფინანსები.

– უნდა შეეძლოს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გაანალიზება და კომპანიაში მათი შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტური წინადადებების შეთავაზება.

გ) დოქტორანტის კომპეტენცია.

დოქტორანტის კომპეტენცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც ცნობილია ბერგენის კომუნიკეს სახით (იხ: www.bolgna-bergen 2005.no)

„ზოგადი მენეჯმენტის” დარგში სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობაში კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენება;
- გუნდური პრინციპით მუშაობა რიგითი წევრისა და ლიდერის როლში, მიღებული ცოდნის ეფექტური გამოყენება, მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება და სრულყოფა;
- ზოგადი მენეჯმენტის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება და მისი დამუშავება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტა;
- უნდა ფლობდეს ბიზნესში მოქმედი კომპანიების საქმიანობის კვლევის მეთოდებს და გააჩნდეს ბიზნესის განვითარების პრობლემების გადაწყვეტის უნარი, ამ მიზნით მართვის ეფექტური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ზოგადი მენეჯმენტის სფეროში ინფორმაციის გაანალიზებისა და მისი შედეგების გამოყენების უნარი;
- საერთაშორისო ბაზრების სეგმენტაცია და მათი შესაძლებლობების გამოყენება ბიზნესის განვითარებისათვის;
- ზოგადი მენეჯმენტის დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

5.3. კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები:

„ზოგადი მენეჯმენტის" დოქტურანტურა დამთავრებულს შეუძლია იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში ბიზნესის ნებისმიერ ორგანიზციულ - სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციებში, აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში, რომლებსაც სჭირდებათ ამ დარგში პროფესიული ცოდნა და მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაში იქნება კომპანიის უმაღლესი დონის მენეჯმენტისათვის. აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, სახელმწიფოს მმართველობით ორგანოებში.

6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

დოქტორანტურაში მიღების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს იმ წინაპირობებს, რომელიც განსაზღვრულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში (აკადემიური საბჭოს №23 დადგენილება. 2007 წლის 28 მაისი). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირის დიპლომი, ფლობდეს უცხო ენას (გერმანულს, ფრანგულ, ინგლისურს, რუსულს) ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და/ან აპრობაცია ჰქონდეს გავლილი.

7. პროგრამის ანალოგები:

ინდივიდუალური პროგრამით ჩარიცხულმა დოქტორანტმა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დისერტაცია არსებული დებულების შესაბამისად. ტექნიკური მოთხოვნები გამომდენარეობს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან.. დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი მეცნიერული პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალში, რომელთაგან ორს უნდა ჰქონდეს გავლილი საერთაშორისო ექსპერტიზა. სტატიებს შეაფასებენ ექსპერტები საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 20. სტატიებზე

უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში (11-15 ქულა), დოქტორანტს ეძლევა სამი თვე სტატიის გადასამუშავებლად, ხოლო 11-ზე ნაკლები ქულის შემთხვევაში 6 თვე.

8. სამეცნიერო კვლევების მატერიალური-ტექნიკური ბაზა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიმართულებებზე (კათედრებზე) დისერტაციის პროფილის მიხედვით, თსუ-ს, ეროვნულ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში. ხემისაწვდომია ფაკულტეტზე არსებული ინტერნეტის გამოყენება. კურსების შესწავლის პროცესში შესაძლებელია პროფესორების ინდივიდუალური კვლევების, პერსონალურ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ფონდის გაცნობა.

9. დოქტორანტების მისაღები რაოდენობა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ყოველწლიურად წელიწადში ორჯერ გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეუძლია 8 დოქტორანტის მიღება.

10.პროგრამაში ჩართული პროფესორების CV.

CURRICULUM VITAE

გვარი	ღაღანიძე
სახელი	გიორგი
დაბადების თარიღი	22.05.1964
მოქალაქეობა	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული
განათლება	ეკონომიკის დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1981-1986	დიპლომი წარჩინებით

მართვის ინსტიტუტი, 1986-1991	მკვლევარი

ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი, 1990	ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1998	დოცენტი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობა უნივერსიტეტი, 2007	სრული პროფესორი

კვალიფიკაციის ამაღლება:

მარკეტინგის ლექტორი (TACIS) ***01.05.94.-11.11.94***

მენეჯმენტი და რეფორმების ტექნიკა
Germany, Great Britain, Georgia 01.12.95-01.06.98

ექსპორტის მარკეტინგი, Greece, 06.-11.12.99

ტრეინინგი აუდიტში,

UNDP and VEGA Aud. And Cons. **29.05.2002**

პერსონალის ტრეინინგის პროგრამა,
Japan, JETRO 30.10.2002

ინგლისურ ენაში წერის პროფესიული
ტრეინინგი,ABC 06.04.2006

პროექტების მართვა, Prince2 05.05.2006
ევროპისმცოდნეობა, ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია 09.06. - 30.06, 2007

ენების ცოდნა:

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა
ქართული	5	5	5
ინგლისური	5	5	5
რუსული	5	5	5

8. ამჟამინდელი თანამდებობა: თსუ მენჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი

9. სამუშაო გამოცდილება:

თარიღი	ადგილი	ორგანიზაცია	თანამდებობა	
11.09.2008 - დღემდე	თბილისი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი	კათედრის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობა
01.06.2007- დღემდე	თბილისი	კავკასიის უნივერსიტეტი	ლექტორი	მარკეტინგის კურსი
15.01.2007 – 01.06.2007	თბილისი	ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორის პირველი მოადგილე	უშუალო პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოებზე
01.11.2004 – 31.12.2006	თბილისი	გაეროს განვითარების პროგრამა	ანალიტიკოსი	პროექტები ეკონომიკური განვითარების სფეროში
01.09.2004- 30.10.2004.	თბილისი	ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს პროექტი (**EU**)	პროექტის კოორდინატორი	პროექტის უშუალო ხელმძღვანელობა
20.05.2003- 01.09.2004	თბილისი	ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	დირექტორის მოადგილე	სააგენტოს საგარეო სავაჭრო საქმიანობის ხელმძღვანელობა
24.04.2001- 24.04.2003	თბილისი	ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო	აღმასრულებელი დირექტორი	სააგენტოს საქმიანობის ხელმძღვანელობა
01.06.2002- 31.01.03	თბილისი	გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის კოორდინატორი	პროექტის უშუალო ხელმძღვანელობა
10.05.1999- 24.04.2001	თბილისი	ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს პროექტი (EU funded project)	ქართული მხარის დირექტორი	პროექტის დირექტორის დახმარება პროექტის მართვაში
1991-1999	თბილისი	თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი	რექტორის მოადგილე	სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა
1995-1998	თბილისი,	საჯარო სამსახურის რეფორმის პროექტი სახელმწიფო კანცელარიაში (**TACIS**)	საჯარო სამსახურის რეფორმის ჯგუფის ექსპერტი	რეკომენდაციების შემუშავება ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწის მიზნით
01.04.1997- 10.05.1999	თბილისი,	განათლების სისტემის რეფორმის პროექტი, (**WB**)	ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი	ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება უმაღლესი განათლების სისტემაში
01.09.1986- 18.03.1994	თბილისი,	შახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი	მეცნიერ-თანამშრომელი	

10. პუბლიკაციები:

1. საბითუმო ვაჭრობა მომარაგების პროგრესიული ფორმა, სამეცნიერო სტატია, მართვის ინსტიტუტი, 1987. თბილისი
2. საბითუმო ვაჭრობის რეგიონალური სისტემის ფუნქციონირების ორგანიზაციული სტრუქტურა და მექანიზმი, სამეცნიერო სიმპოზიუმი, 1987 თბილისი
3. საბითუმო ვაჭრობის როლი ეკონომიკური სისტემის რეფორმაში, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, 1987 თბილისი
4. საბითუმო ვაჭრობის როლი ეკონომიკური სისტემის ცვლილებაში, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, 1988, მოსკოვი
5. საბითუმო ვაჭრობა და ბაზარი, ჟურნალი ეკონომისტი, 1988, თბილისი
6. სალექციო კურსი მარკეტინგში, მენეჯერთა სკოლა, 1988, თბილისი
7. სალექციო კურსი მარკეტინგში, კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტი, 1993, თბილისი
8. მარკეტინგი და საგარეო-ეკონომიკური კავშირები, ლექსიკონი, 1991, თბილისი

9. საბითუმო ვაჭრობის პროგრესული ფორმების განვითარება, ავტორეფერატი, 1990, ლენინგრადი
10. სამრეწველო პროდუქციის ბაზრის თავისებურებები, 1997, თბილისი
11. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემების როლი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში, 1997, თბილისი
12. სამრეწველო დანიშნულების პროდუქციის ბაზრების მნიშვნელობა ეკონომიკური რეფორმის სიტემაში, 1997, თბილისი
13. სამრეწველო დანიშნულების ბაზრის ფორმირების ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტები, 1998, თბილისი
14. ბაზრების კლასიფიკაციის პრობლემები, 1998, თბილისი
15. საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ეკონომიკური კავშირები, 1998, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბაქო
16. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემების გამოყენება საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისათვის, ჟურნალი **Georgian Economic Review,** 1997, თბილისი
17. საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმოხილვა, http://www.cu.edu.ge/data/file_db/research/CCA_Review_August2007_MTwfhW3p.r.pdf
18. საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი, 2007

12. საკონტაქტო ინფორმაცია

e-mail: giorgi_gaganidze@internet.ge; gaganidze@gepa.org.ge
ტელეფონი: (899)506428; 363018